PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-კოლეჯი „თეთნულდი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მიხეილ სამხარაძე

წევრი:

გიორგი დათუკიშვილი

თეთნულდი, 2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

PDF Eraser Free

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „თეთნულდი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N470433 ბრძანების საფუძველზე, სსიპ კოლეჯ "თეთნულდში" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე -2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმების მიზნით, 2020 წლის 7 ივლისს ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტით იმყოფებოდა დაწესებულებაში, ქალაქ მესტიაში (ე. ფარჯიანის ქ. N25).

ექსპერტებმა წინასწარ შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც შეადგინეს დღის წესრიგი.
ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს, რომელმაც ექსპერტებს გამოუყო სამუშაო ოთახი და მათთან საკომუნიკაციო პირად განსაზღვრა ხარისხის მართვის მენეჯერი. ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, დამტკიცებული პროგრამა და პერსონალის პირადი საქმეები, შეამოწმეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკა, გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, განმახორციელებლებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და სხვა.
დღის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები. დაწესებულების წარმომადგენლებმა მისაღებად მიიჩნიეს ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და ჩაინიშნეს ცალკეული საკითხები შემდგომში გასაუმჯობესებლად.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

PDF Eraser Free

წინა ვიზიტი განხორციელდა 2019 წელს შესაბამისად რეკომენდაციების გაცემა მოხდა ავტორიზაციის ძველი სტანდარტებით. წინა ვიზიტისას გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 1.1

- რეკომენდირებულია პროგრამებს ჰყავდეს პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც ჩაერთვებიან პროგრამების შემუშავებაში/ადაპტირებაში;
- სასურველია დაწესებულებამ გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები სხვა პროფესიულ მასწავლებლებთანაც, რომ არ დადგეს საფრთხის ქვეშ პროგრამების მდგრადობის საკითხი (წარმოდგენილი პროგრამების პროფესიული და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლად დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს თითო-თითო პროფესიულ მასწავლებელთან(ერთკაციანი პროგრამები);
- „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში შეტანის პროცედურის წესის“ თანახმად, სასწავლო გეგმა ყველა პროგრამისთვის უნდა შეიქმნას იმგვარად, რომ წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს ორკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა, ან ცვლილება შევიდეს წესში და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო გეგმასთან;
- მოდულში მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი და აუდიტორია, როგორც ეს გაწერილია „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესში“, ან შევიდეს ცვლილება წესში რომ შესაბამისობაში მოვიდეს მოდულებთან;
- მოხდეს მოდულების ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ორგანიზების ნაწილში;
- სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ინტერვალი შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის რეგულაციასთან „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი“
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის“ სასწავლო გეგმაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა (დამოუკიდებელი საათების ჩათვლით) შესაბამისობაში მოვიდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კოლეჯის მიერ შემუშავებულ რეგულაციასთან „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი“;

ქვესტანდარტი 2.3

- გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურაში.

ქვესტანდარტი 2.9

- კოლეჯი „თეთნულდის“ 2019 წლის სამოქმედო გეგმაში გაიწეროს სტრატეგიული მიზნის შესრულებისთვის საჭირო რესურსი;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები განთავსდეს დაწესებულების ვებგვრდზე;

ქვესტანდარტი 3.3

- წარმოდგენილი პროგრამებისთვის საჭირო ყველა პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებული იქნება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობები არა მხოლოდ უქმე დღეებში შესრულებულ სამუშაოზე, არამედ კვირის განმავლობაში 40 საათზე მეტი სამუშაოს შესრულებაზეც.
- ხელშეკრულების 3.4 პუნქტიდან ამოღებული იქნება ჩანაწერი „განკარგულება“, ვინაიდან ასეთ შიდა სამართლებრივ აქტს საერთოდ არ იღებს კოლეჯი;
- შრომითი ხელშეკრულების მე-7 პუნქტში მოხდება ტექნიკური უზუსტობის გასწორება, კერძოდ, შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტის საფუძვლად არ უნდა იყოს მითითებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტის მოქმედება კოლეჯის ადამიანურ რესურსზე არ ვრცელდება;
- შრომით ხელშეკრულებებში მიეთითოს პროგრამის/მოდულის დასახელება;
- შრომით ხელშეკრულებებში/დანიშვნის აქტებში „მასწავლებლის“ და /ან „პედაგოგის“ ნაცვლად ჩაიწეროს „პროფესიული განათლების მასწავლებელი“.
- სასურველია ხელშეკრულებებში მიეთითოს სამუშაოს შესრულების ადგილი. თუმცა კოლეჯის რეგულაციით, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დაწესებულების „შინაგანაწესი“, სადაც მითითებულია სამუშაოს შესრულების ადგილი.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა, რამდენად გაითვალისწინა დაწესებულებამ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტები ასევე გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს. ექსპერტთა შეფასებით, <u>აღნიშნული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი გათვალისწინებულია. კერძოდ:</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დაწესებულებას ბრძანებით ჰყავს დანიშნული პროგრამის ხელმძღვანელები; პროგრამების მდგრადობის მიზნით განმახორციელებელი პედაგოგების რაოდენობა პროგრამების შესაბამისად ერთზე მეტია; მოდულებში მოდულის განხორცილების ადგილი მითითებულია; საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურაში ტექნიკური უზუსტობები გასწორებულია; სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში(2018 წლის) განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://tetnuldi.edu.ge/about-college__trashed/normative-acts/); შრომით ხელშეკრულებაში ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობები არა მხოლოდ უქმე დღეებში შესრულებულ სამუშაოზე, არამედ კვირის განმავლობაში 40 საათზე მეტი სამუშაოს შესრულებაზეც - გათვალისწინებულია; შრომით ხელშეკრულებაში პროგრამების/მოდულების დასახელება მითითებულია; გამოყენებულია ტერმინი პროფესიული განათლების მასწავლებელი ნაცვლად პედაგოგისა/მასწავლებლისა; ხელშეკრულების მე-7 პუნქტში ტექნიკური უზუსტობა „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის“ საფუძვლად მითითება - გასწორებულია.

<u>გათვალისწინებული არ არის შემდეგი რეკომენდაციები:</u>

- ხელშეკრულებაში სამუშაოს შესრულების ადგილთან დაკავშირებით - არსებული ჩანაწერი ახალ ხელშეკრულებებშიც რჩება;
- ხელშეკრულების 3.4 პუნქტიდან ჩანაწერის „განკარგულება“ ამოღების შესახებ - გვხვდება ახალ ხელშეკრულებებშიც (მუხლი 3 – 3.3 ქვეპუნქტი);

რეკომენდაცია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ინტერვალთან დაკავშირებით, მარეგულირებელი წესის თანახმად გათვალისწინებულია, თუმცა მაინც რჩება გარკვეული სახის უზუსტობები რასთან დაკავშირებითაც მიმდინარე ვიზიტის დროსაც გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ აღმოფხვრას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“, დამატებით შეფასებასთან დაკავშირებული უზუსტობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ინდიკატორი 2.2.1.2

- განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებას პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის ჰყავს მხოლოდ ერთი განმახორციელებელი. არსებობს ალბათობა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი ისარგებლებს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით, როგორიცაა ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი შვებულება, გამოიყენებს საავადმყოფო ფურცელს, გადავა სხვა, მისთვის უფრო ხელსაყრელ სამსახურში და სხვა. ამ გარემოებების დადგომით საფრთხე ექმნება პროგრამის განხორციელების მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი დაწესებულებას არ აქვს შეტანილი შესაბამისობის გეგმაში.

ინდიკატორი 2.2.1.3

- პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირის პირადი საქმის გადამოწმების შედეგად, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ აღნიშნულ განმახორციელებელს არ აქვს სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება. გასაუბრების დროს განმახორციელებელმა ექსპერტებს განუცხადა, რომ ამ მომენტისთვის მას არ აქვს პროფესიული მოდულების განხორციელების კომპეტენცია, თუმცა ის სწავლობს Cisco CCNA-ს კურსზე და აპირებს Windows Server-ის და Linux-ის კურსები გავლას, რის შემდეგაც შეძლებს პროფესიული მოდულების განხორციელებას.

  იმის გათვალისწინებით, რომ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულები მოიცავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამ სხვადასხვა მიმართულებას (კომპიუტერული ქსელი, Windows სერვერი და ლინუქსი), ასევე სწავლის დაწყების სავარაუდო დრო არის 2020 წლის ოქტომბერი და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, პროფესიული მოდულები იწყება სწავლის დაწყებიდან 28-ე სასწავლო კვირაში, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე აღნიშნული განმახორციელებელი ვერ შეძლებს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი დაწესებულებას არ აქვს შეტანილი შესაბამისობის გეგმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VII. რეკომენდაციების შეჯამება

PDF Eraser Free

<u>დაწესებულებას მიეცა შემდეგი შესაბამისობის რეკომენდაცია:</u>

ინდიკატორი 2.2.1.1

შესაბამისობის გეგმის თანახმად შეიძინოს მატერიალური რესურსის ის ნაწილი, რომლის შესყიდვაც ვერ მოასწრო ექსპერტების ვიზიტისთვის. აღნიშნული საკითხი დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმაში, შეფასებული აქვს, როგორც მეტწილი შესაბამისობა და აღჭურვილობების შესყიდვას გეგმავს 2020 წლის ივლისის პერიოდში. რადგან სასწავლო პროცესის დაწყების სავარაუდო დრო არის 2020 წლის ოქტომბერი, დაწესებულება შეძლებს მითითებული აღჭურვილობების შესყიდვას და პროგრამის განხორციელებას სრულყოფილად. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.

<u>დაწესებულებას მიეცა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:</u>

ინდიკატორი 2.1.1.8

- მოახდინოს „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის“ დანართის ადაპტირება სრულად;
- „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულის განხორციელების მიდგომებში მიუთითოს, განხორციელების ადგილი.

ინდიკატორი 2.2.1.4

- პროგრამის ხელმძღვანელისთვის შეიმუშაოს თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა, სადაც უფრო დეტალურად იქნება გაწერილი მისი ფუნქცია-მოვალეობები, საჭირო უნარები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ინდიკატორი 2.3.1.1

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კონტექსტში გამოიყენოს კურსდამთავრებულთა დასაქმების, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი და გაწეროს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.

ინდიკატორი 2.4.1.5

- მესტიის მუნიციპალიტეტში მოიძიოს პრაქტიკის ობიექტი/ობიექტები, რომლის დახმარებითაც შეძლებს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის პრაქტიკული ნაწილის სწავლის შედეგების დაფარვას. *(იხ ინდიკატორის აღწერა)*
- გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში სწორად მიუთითოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მიუთითოს კონკრეტულად რომელი მოდულის ფარგლებშია გაფორმებული მემორანდუმი და ასახოს სტუდენტების კონკრეტული რაოდენობა. *(იხ ინდიკატორის აღწერა)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ინდიკატორი 2.4.2.1

- შესაბამისობაში მოიყვანოს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-3 და მე-10 მუხლებით განსაზღვრული პირობები შეფასების ინსტრუმენტის შექმნაზე და შერჩევაზე პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებით.
- დააზუსტოს და შესაბამისობაში მოიყვანოს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-9 მუხლით და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლით განსაზღვრული პირობები და ვადები პროფესიულ სტუდენტთა დამატებით შეფასებასთან დაკავშირებით. ასევე სასურველია მიეთითოს განმეორებით გამოცდაზე გამოყენებული ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაცია და ნამუშევრის გასწორების ვადები.
- დააზუსტოს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერი სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით.
- რეგულაციებში გაწეროს დუალური და ინტეგრირებული პროგრამების შეფასების სისტემის შესახებ.

ინდიკატორი 2.4.2.2

- დახვეწოს ვერიფიკაციის და ვალიდაციის მექანიზმები - წინასწარი შეფასების საფუძველზე განისაზღვროს ვერიფიკატორის სამუშაოს მოცულობა, არსებული რესურსები და ამის გათვალისწინებით დადგინდეს რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი; რისკების ანალიზის საფუძველზე შეირჩეს ის ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომელთა ვერიფიკაციაც აუცილებელია; მნიშვნელოვანია დეტალურად გაიწეროს შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ინდიკატორი 2.4.2.4

- რეგულაციაში ასახოს განმავითარებელი შეფასების ჩატარების და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N02/18 – 04.05.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. მესტია, ე. ფარჯიანის ქ. N25
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (ინტეგრირებული)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	მესტია, ე. ფარჯიანისს ქ. N25 40 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის ინტეგრირებული 12 სტუდენტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	12
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☒
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯ „თეთნულდის“ დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/09 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“, რომლის მიხედვითაც ახალი პროგრამის დამატების, ან არსებულ პროგრამაში ცვლილების შეტანის მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქნება მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც განიხილავს ახალი პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დამატების ან/და არსებულ პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების შესახებ განაცხადს. დაწესებულებას ასევე დამტკიცებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების წესი“, რომლის ფარგლებშიც ჩატარებული აქვს პროფესიული განათლების მსურველთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვების საფუძველზე დაწესებულებას გაკეთებული აქვს „კომპიუტერული ქსელი ად სისტემების“ პროგრამის დამატების კვლევის ანგარიში, რომლის მიხედვითაც გამოვლინდა კომპიუტერული ქსელი და სისტემების სპეციალისტების მიმართ შრომის ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ახალი პროგრამების დამატების, ან არსებული პროგრამაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/16 ბრძანებით დამტკიცებული ჰყავს მუდმივმოქმედი კომისია. 2020 წლის 23 აპრილის კომისიის სხდომის ოქმი N1-ის მიხედვით კომისიის წევრებმა შეაფასეს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ (როგორც მოდულური, ასევე ინტეგრირებული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობა და მიიღეს გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ. სხდომაზე ხარისხის მენეჯერმა განაცხადა, რომ მასწავლებლები და პროგრამის მენეჯერი მზადყოფნაშია პროგრამის შემუშავებისთვის.

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი (2018-2024) გეგმიდან (სტრატეგიული მიზანი N4, სტრატეგიული ამოცანა 4.2) და შეესაბამება კოლეჯის მისიას - მაღალმთიანი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მოამზადოს სამეწარმეო და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი სპეციალისტები და ამით ხელი შეუწყოს რეგიონის, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას/სტაბილურობას.

2. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამაზე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება. მოცემული წინაპირობა შეესაბამება „ინფორმაციის ტექნოლოგის“ (სარეგისტრაციო ნომერი 06112-პ) ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია აღნიშნული პროგრამა.

აღნიშნული პროგრამის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის საბაზო განათლება, რომელიც შეესაბამება 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესსა და პირობებს.

3. დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის N02/04 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის წესი“. აღნიშნული წესის 2-ე მუხლის მიხედვით პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხდება A,B და C სასწავლო გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსის და მოდულების განმახორციელებელი პირების რაოდენობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროგრამის დამატების მიზნით დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამაზე მოთხოვნილი კვოტის განსაზღვრის დოკუმენტი 40 პროფესიულ სტუდენტზე, აქედან 12 ინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელებისთვის. პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს 2 (ორი) B/C გარემოს აუდიტორია ზოგადი და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის, ხოლო 1 (ერთი) აუდიტორია ინტეგრირებული მოდულებისთვის. კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია, რომ დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში და შესაძლებელია არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით ორი ჯგუფია სწავლება ერთდროულად (სულ 28 პროფესიული სტუდენტი), ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში ერთი ჯგუფის (12 პროფესიული სტუდენტი). დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში კოლეჯი გეგმავს ერთ მიღებაზე მხოლოდ ერთ ჯგუფს მიღებას და ორი ჯგუფის ერთდროულად არსებობა გულისხმობს სხვადასხვა მიღების ჯგუფებს. შესაბამისად ერთ მიღებაზე დაწესებულება გეგმავს მაქსიმუმ 26 პროფესიული სტუდენტის მიღებას (12 ინტეგრირებული სასწავლო გეგმით, 14 არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით).

დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში 2019 წლის 27 ივნისს გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს „ორდუნეტთან“, რომლის მიხედვითაც კომპანია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკული სწავლების შედეგების გავლას. აღნიშნული მემორანდუმის მიხედვით კომპანია უზრუნველყოფს არანაკლებ 10 პროფესიული სტუდენტის მიღებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მემორანდუმში დაკონკრეტებულია მხოლოდ მინიმალური ზღვარი და არ არის მითითებული მაქსიმუმ რა რაოდენობის სტუდენტის მიღება შეუძლია კომპანიას. დაწესებულების განმარტებით აღნიშნულ კომპანიას აქვს მზაობა მიიღოს 40 და მეტი სტუდენტი.

4. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო რესურსები. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, გარდა ორი მოდულისთვის: „უცხოური ენის“ და „ქართული ენა -B2“-ის მოდულების სასწავლო რესურსი ვერ უზრუნველყოფდა მოდულებით გათვალისწინებული კომპეტენციის განვითარებას.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2020 წლის 6 ივნისის N02/26 ბრძანება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შესახებ“, რომლის მიხედვითაც ზემოაღნიშნულ მოდულებში დაამატა შესაბამისი სასწავლო რესურსი.

პროგრამას თან ერთვის „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის“ დანართი, რომელშიც თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია აღჭურვილობები და სახარჯი მასალები რაოდენობების მითითებით. დანართით გათვალისწინებული აღჭურვილობის ჩამონათვალი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

6. სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/09 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის“ მე-4 მუხლის თანახმად პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. აღნიშნული წესის საფუძველზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 4 მაისის N02/18 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ასახავს პროგრამის შინაარსს, არ არის შეცდომაში შემყვანი, არ იწვევს არასწორ მოლოდინებს და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

8. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ (სარეგისტრაციო ნომერი 06112-პ) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სწავლების მეთოდოლოგია.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული მოდულები და „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის“ დანართები არ არის სრულად ადაპტირებული, კერძოდ:

- სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის დანართი არ არის გაფორმებული შესაბამისი ბრძანების რეკვიზიტებით (არ აქვს სატიტულო გვერდი);
- დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტებთან, თუმცა „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულში არ არის მითითებული ინფორმაცია სწავლის შედეგების საწარმოში განხორციელების შესახებ.

დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველყოს „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის“ დანართების სრულად ადაპტირება და „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულში მიუთითოს ინფორმაცია სწავლის შედეგების საწარმოში განხორციელების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/09 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“;
- დირექტორის 2020 წლის 13 აპრილის N02/07 ბრძანება - „საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“;
- დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/16 ბრძანება - "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის , ახალი პროგრამის დამატების, ან არსებულ პროგრამაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ";
- 2020 წლის 23 აპრილის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმი N1;
- „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ (სარეგისტრაციო ნომერი 06112-პ) ჩარჩო დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის N02/04 ბრძანება - „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის წესი“;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმი;
- პოტენციურ აპლიკანტთა კვლევის საბოლოო ანგარიში;
- დირექტორის 2020 წლის 6 ივნისის N02/26 ბრძანება - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შესახებ“;
- დირექტორის 2020 წლის 4 მაისის N02/18 ბრძანება - "ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ";
- სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი (2018-2024) გეგმა;
- კოლეჯის მისია;
- ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

1. სსიპ „ოლეჯ „თეთნულდს“ საკუთრებაში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის უმეტესი ნაწილი, რაც დასტურდება ინვენტარიზაციის წიგნით, შესყიდვების დოკუმენტებით და ვიზუალური დათვალიერებით. დაწესებულების განმარტებით, მატერიალური რესურსის სრულად შესყიდვა ვერ მოასწრეს ექსპერტთა ვიზიტისთვის, თუმცა წარმოადგინეს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესასყიდი რესურსის ჩამონათვალი და შესყიდვასთან დაკავშირებული ინვოისები. დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელშიც აღნიშნული საკითხი შეფასებულია როგორც მეტწილი შესაბამისობა და აღჭურვილობების შესყიდვას გეგმავს ივლისის პერიოდში. რადგან სასწავლო პროცესის დაწყების სავარაუდო დრო არის ოქტომბერი, დაწესებულება შეძლებს მითითებული აღჭურვილობების შესყიდვას და პროგრამის განხორციელებას სრულყოფილად. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს 2 (ორი) B/C გარემოს აუდიტორია ზოგადი და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის, ხოლო 1 (ერთი) აუდიტორია ინტეგრირებული მოდულებისთვის. ზოგადი და პროფესიული მოდულებისთვის განკუთვნილი აუდიტორიებიდან ერთი გათვლილია 14 პროფესიულ სტუდენტზე და მასწავლებელზე, მეორე კი 12 პროფესიულ სტუდენტზე და მასწავლებელზე. ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილი ლაბორატორია გათვლილია 12 პროფესიულ სტუდენტზე და მასწავლებელზე.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელი იქნება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუ დაწესებულებას ექნება მატერიალური რესურსის ის ნაწილი, რომლის შესყიდვაც ვერ მოასწრო ექსპერტების ვიზიტისთვის.

2. დაწესებულებას პროგრამის N29 დანართის მიხედვით დამტკიცებული აქვს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. აღნიშნული დანართის მიხედვით პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან დარგობრივ მოდულებს განახორციელებს ორი (ერთი მხოლოდ საერთო პროფესიულ დარგობრივ მოდულებს, მეორე მხოლოდ პროფესიული მოდულებს).

განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებას პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის ჰყავს მხოლოდ ერთი განმახორციელებელი, ასევე მხოლოდ ერთი განმახორციელებელი ჰყავს საერთო პროფესიული დარგობრივი მოდულებისთვის. არსებობს ალბათობა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი ისარგებლებს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით, როგორიცაა ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი შვებულება, გამოიყენებს საავადმყოფო ფურცელს, გადავა სხვა, მისთვის უფრო ხელსაყრელ სამსახურში და სხვა. ამ გარემოებების დადგომით საფრთხე ექმნება პროგრამის განხორციელების მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი დაწესებულებას არ აქვს შეტანილი შესაბამისობის გეგმაში. აღნიშნული გარემოებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დადგომით საფრთხე ექმნება პროგრამის განხორციელების მდგრადობას, რაც ექსპერტთა მხრიდან შეფასდა ხარვეზად და ინდიკატორთან შეუსაბამობად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი დაწესებულებას არ აქვს შეტანილი შესაბამისობის გეგმაში.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში კოლეჯი გეგმავს ერთი ჯგუფის (12 პროფესიული სტუდენტი) მიღებას, ხოლო არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, ერთ მიღებაზე ასევე, მხოლოდ ერთი ჯგუფს მიღებას. შესაბამისად ერთ მიღებაზე დაწესებულება შესაძლოა ჰყავდეს ორი ჯგუფი (მაქსიმუმ 26 პროფესიული სტუდენტი - 12 ინტეგრირებული სასწავლო გეგმით, 14 არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით). ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმების გადამოწმების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ განმახორციელებლების დატვირთვა ორი პარალელური ჯგუფის შემთხვევაში არ ცდება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას - 40 საკონტაქტო საათს.

3. დაწესებულებას პროგრამის განმახორციელებელი პირები აყვანილი ჰყავს დირექტორის 2017 წლის 6 იანვრის N02/12 ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის მიღების წესის“ შესაბამისად. აღნიშნული წესით, ასევე განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც რელევანტურია კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. წარმოდგენილი პირადი საქმეებით, დანიშვნის აქტებით და გაფორმებული ხელშეკრულებებით მტკიცდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ზოგადი და საერთო პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების დადასტურებული კომპეტენცია.

პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირის პირადი საქმის გადამოწმების შედეგად, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ აღნიშნულ განმახორციელებელს არ აქვს სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება. გასაუბრების დროს განმახორციელებელმა ექსპერტებს განუცხადა, რომ ამ მომენტისთვის მას არ აქვს პროფესიული მოდულების განხორციელების კომპეტენცია, თუმცა ის სწავლობს Cisco CCNA-ს კურსზე და აპირებს Windows Server-ის და Linux-ის კურსები გავლას, რის შემდეგაც შეძლებს პროფესიული მოდულების განხორციელებას.

იმის გათვალისწინებით, რომ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულები მოიცავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამ სხვადასხვა მიმართულებას (კომპიუტერული ქსელი, Windows სერვერი და ლინუქსი), ასევე სწავლის დაწყების სავარაუდო დრო არის 2020 წლის ოქტომბერი და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, პროფესიული მოდულები იწყება სწავლის დაწყებიდან 28-ე სასწავლო კვირაში, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე აღნიშნული განმახორციელებელი ვერ შეძლებს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციების მიღწევას, რაც ექსპერტთა მხრიდან შეფასდა ხარვეზად და ინდიკატორთან შეუსაბამობად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი დაწესებულებას არ აქვს შეტანილი შესაბამისობის გეგმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

4. „კომპიუტერული ქსელის და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 4 მაისის N02/19 ბრძანებით და ასევე მითითებულია კოლეჯის მიერ დამტკიცებულ პროგრამაში. დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/09 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის“ მე-5 მუხლი განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელის როლს, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კოორდინაციას, განხორციელების ხელშეწყობას, განვითარებას და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლის კვალიფიკაცია და სწავლების გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და შედეგებს. აღსანიშნავია, რომ ცალკე თანამდებობრივი ინსტრუქციები/სამუშაოს აღწერილობა ან ფუნქცია მოვალეობები არ არის გაწერილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელისთვის შეიმუშაოს თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა, სადაც უფრო დეტალურად იქნება გაწერილი მისი ფუნქცია-მოვალეობები, საჭირო უნარები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

5. დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 16 აპრილის N02/10 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ და „ბიბლიოთეკის დებულება“, რომლითაც განსაზღვრულია კოლეჯის ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, ბიბლიოთეკის ფუნქციები და ამოცანები და ბიბლიოთეკარის მოვალეობები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია შესაბამისი წესის მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანთლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული სახით. დაწესებულება ასევე იყენებს ელექტრონულ კატალოგს (OPAC). ექსპერტთა მიერ შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული ლიტერატურა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ. ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკის ფონდში დაამატა „უცხოური ენის“ და „ქართული ენა -B2“-ის მოდულების ელექტრონული სასწავლო რესურსი.

6. დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის 16-ე მუხლი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს როგორც სსსმ ან/და შშმ პირებისთვის, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის. ამავე წესის 17-ე მუხლით განსაზღვრულია „სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“, რომლის მიხედვითაც „კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას“. ასევე, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდაჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

კოლეჯი მოწყობილია გარე პანდუსით და აღჭურვილია ლიფტით, შესაბამისად კოლეჯის ტერიტორიაზე შშმ პირს აქვს შეუზღუდავი გადაადგილების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ ისინი იცნობენ სსსმ პირებისთვის სწავლების თავისებურებებს და აქვთ მზაობა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს როგორც მათი მხარდაჭერა, ასისტირება, ასევე, სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების კონკრეტული მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“ სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2020 წლის 4 მაისის N02/18 ბრძანება - „ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“;
- დირექტორის 2017 წლის 6 იანვრის N02/12 ბრძანება - „მასწავლებლის მიღების წესი“;
- დირექტორის 2020 წლის 6 ივნისის N02/26 ბრძანება - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შესახებ“;
- დირექტორის 2020 წლის 4 მაისის N02/19 ბრძანება - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთა და მათი ფუნქციების განსაზღვრის და დამტკიცების შესახებ“;
- დირექტორის 2020 წლის 16 აპრილის N02/10 ბრძანება - „ბიბლიოთეკის დებულების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
- დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/08 ბრძანება - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“,
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- შესაბამისობის გეგმა;
- ინვენტარიზაციის წიგნი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- შესყიდვასთან დაკავშირებული ინვოისები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუ.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/14 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც აგებულია დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე ციკლის მიხედვით და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, ასევე სწავლა-სწავლების და სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგს და შეფასებას. ასევე, დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 13 აპრილის N02/06 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების განხორციელების შეფასებას სტუდენტთა, დამსაქმებელთა, მასწავლებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების საშუალებით. გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, რომელიც პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების შემდგომში სრულყოფის საფუძველი იქნება. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს სტუდენტთა, დამსაქმებელთა, მასწავლებელთა და კურსდამთავრებულთა კითხვარების ფორმები. ინტერვიუირების დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი პერიოდულად ახდენენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს და ესწრებიან ლექციებს მიმდინარეობის პროცესს, რის შედეგადაც ახდენენ შედეგების ანალიზს. დაწესებულების განმარტებით, მონიტორინგის და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე მოახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც შეიმუშავებენ განვითარების გეგმას და რეკომენდაციებს.

დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომლის მე-9[1] მუხლის მიხედვით, პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

ექსპერტთა მოსაზრებით, მნიშვნელოვანია დაწესებულებას პროგრამების განვითარების კონტექსტში ერთერთ მთავარ ორიენტირად გათვალისწინებული ჰქონდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი, რაც სასურველია უფრო დეტალურად გაიწეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესში. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია.

2. დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/09 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის“ მე-6 მუხლის თანახმად, პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული გამოკითხვის შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის თანამშრომელი (დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და სხვა), დამსაქმებელი, სხვა დაინტერესებული პირი. პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირება წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დასაბუთებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/14 ბრძანება „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- დირექტორის 2020 წლის 13 აპრილის N02/06 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“;
- დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანება „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“;
- დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/09 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“;
- ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები (ინტეგრირებული, არაინტეგრირებული) აგებულია განმეორებითი შეფასებისთვის დროის შუალედების დაცვით. პროფესიული სტუდენტის კვირეული საშუალო დატვირთვა არ აღემატება 30 საათს. პროგრამით გათვალისწინებული მოდულის წინაპირობები დაცულია. ინტეგრირებული სასწავლო გეგმა გაწერილია 3 სასწავლო წელზე.

2. სტუდენტთა ინტერესების გასათვალისწინებლად და სხვადასხვა შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრულია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების პროცედურები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის პროცედურები, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

3.“კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების სარეკომენდაციო მეთოდებს, რომელიც არის თანამედროვე და უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუცხადეს, რომ მასწავლებლების განვითარების მექანიზმები გაწერილი არ აქვთ, თუმცა კოლეჯი მუდმივად ზრუნავს მათ განვითარებაზე. მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ მასწავლებელთა სახლის, ხარისხის ცენტრის, სამინისტროს და დაინტერესებული მხარეების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში/სამუშაო შეხვედრებში. ასევე საჭიროებიდან გამომდინარე ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მენეჯერი სასწავლო პროცესის თანმდევი დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებით ატარებენ ტრენინგებს.

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 16-ე მუხლი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, რომელიც მორგებულია სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. წესის მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება შესაძლებელია დადგეს თუ: მობილობით გადმოსულ პირს დადასტურებული აქვს განსხვავებული სწავლის შედეგები, პირს შეჩერებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პირი დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, განხორციელდა პროგრამის შეცვლა / გაუქმება და საჭირო პროფესიული სტუდენტებისთვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე.

მავე წესის მე-5 მუხლი განსაზღვრავს მობილობის შესაძლებლობას და პროცედურებს, აღნიშნული მუხლის 11-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ პროფესიული სტუდენტის მობილობის შემთხვევაში ვაუჩერული დაფინანსების გადატანის წესი. ასევე წესის მე-7 მუხლი განსაზღვრავს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურებს.

5. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს 2019 წლის 27 ივნისს დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „ორდუნეტთან“. მემორანდუმი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკული სწავლების შედეგების გავლას/დადასტურებას. აღსანიშნავია, რომ შპს „ორდუნეტი“ მდებარეობს ქალაქ ზუგდიდში, რომელიც დაახლოებით 130 კილომეტრით არის დაშორებული მესტიის მუნიციპალიტეტისგან, სადაც მდებარეობს სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“. აღნიშნული მანძილის და ამ მანძილის გასავლელი დროის გათვალისწინებით, სტუდენტები ყოველდღიურად ვერ შეძლებენ პრაქტიკის ობიექტზე მისვლას და უკან დაბრუნებას. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუმარტეს, რომ ისინი უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირებას და საცხოვრებელს ქალაქ ზუგდიდში.

ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ მესტიის მუნიციპალიტეტშივე მოიძიოს პრაქტიკის ობიექტი/ობიექტები, რომლის დახმარებითაც შეძლებს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის პრაქტიკული ნაწილის სწავლის შედეგების დაფარვას.

შესწავლის შედეგად მემორანდუმში გამოიკვეთა შემდეგი უზუსტობები:

- „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ნაცვლად მითითებულია ჩარჩო-დოკუმენტის დასახელება „ინფორმაციის ტექნოლოგია“;
- არ არის მითითებული კონკრეტულად რომელი მოდულის ფარგლებში უზრუნველყოფენ მხარეები თანამშრომლობას;
- დაკონკრეტებულია მხოლოდ მინიმალური ზღვარი (არანაკლებ 10 პროფესიული სტუდენტისა) და არ არის მითითებული მაქსიმუმ რა რაოდენობის სტუდენტის მიღება შეუძლია კომპანიას.

დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ გაფორმებულ მემორანდუმში სწორად მიუთითოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მიუთითოს კონკრეტულად რომელი მოდულის ფარგლებშია გაფორმებული მემორანდუმი და ასახოს სტუდენტების კონკრეტული რაოდენობა, რომლის მიღებაც ერთდროულად შეუძლია კომპანიას.

6. პროგრამის სპეციფიკა არ ითვალისწინებს განსაკუთრებული უსაფრთხოების წესების არსებობას/დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2020 წლის 4 მაისის N02/18 ბრძანება - „ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“;
- დირექტორის 2020 წლის 6 ივნისის N02/26 ბრძანება - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შესახებ“;
- დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/08 ბრძანება - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომლის მე-3 მუხლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს. ხოლო 10-ე მუხლის მიხედვით შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს). დაწესებულების განმარტებით მოდულების ადაპტირების დროს პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად არჩევს შეფასების მეთოდს, ხოლო უშუალოდ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი სწავლის შედეგის/შედეგების შეფასებამდე. ***დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობაში მოიყვანოს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-3 და მე-10 მუხლებით განსაზღვრული პირობები.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

აღნიშნული წესის მე-4 მუხლის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა. ამავე წესის მე-5 მუხლის მიხედვით, სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით იკრიბება მუდმივმოქმედი კომისია. კომისია იკრიბება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ჯგუფის მიერ კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის/დამატებითი სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურების დასრულებისას, ამ წესით განსაზღვრული პირობების მონიტორინგის მიზნით. დაწესებულების განმარტებით აღნიშნული კომისიის მიზანია შეფასების პროცესის მონიტორინგი.

„პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-9 მუხლის მიხედვით, „განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს წერილობითი განცხადების საფუძველზე უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი (მაგ. სასწავლო და საწარმოო პროცესის მენეჯერი, ან სხვა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით, უფლებამოსილნი არის განსაზღვროს დამატებითი (განმეორებითი) შეფასების ვადები.“

დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/08 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლით განსაზღვრულია, რომ განმეორებითი შეფასების მოთხოვნა სტუდენტს შეუძლია ერთხელ. ხოლო თუ მოდული სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობაა, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები. ამავე მარეგულირებელი წესის 10.10 პუნქტის მიხედვით - *„მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) მოდულის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს დირექციას და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, განმეორებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.“* დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით აღნიშნულ ჩანაწერში დაშვებულია შეცდომა და დამატებით შეფასებასთან დაკავშირებით კოლეჯი იყენებს შემდეგ მიდგომას: თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობაა, ამ შემთხვევაში ამ მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა დაინიშნოს დამატებითი გამოცდა, ხოლო თუ მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, სტუდენტს პროგრამის დასრულებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს სწავლის შედეგების დადასტურება. ***დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ დააზუსტოს და შესაბამისობაში მოიყვანოს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-9 მუხლით და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლით განსაზღვრული პირობები და ვადები პროფესიულ სტუდენტთა დამატებით შეფასებასთან დაკავშირებით. ასევე სასურველია მიეთითოს განმეორებით გამოცდაზე გამოყენებული ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაცია და ნამუშევრის გასწორების ვადები.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით მოდულის მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურება ითვლება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და პროფესიულ სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით სტუდენტს დამატებით შეფასებაზე გასვლის უფლება არ აქვს. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ჩანაწერში დაშვებულია შეცდომა: „სწავლის შედეგის ვერ დადასტურების“ ნაცვლად მითითებული უნდა იყოს „დამატებით შეფასებაზე მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურება“. ***დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ დააზუსტოს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერი სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით.***

დაწესებულებას მარეგულირებელი წესის 13-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული აქვს „პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების პროცედურა“, რომლის მიხედვითაც შედეგის გაცნობიდან 2 დღის ვადაში მიმართავს დირექტორს და ითხოვს შედეგების დადასტურების გადასინჯვას. გასაჩივრებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს სტუდენტის ნაშრომის განხილვას პროფესიული მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მონაწილეობით. პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია შეცვალოს შეფასება ან დატოვოს ძალაში. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი /მსმენელი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მასთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით შესაძლოა შემფასებლად გამოყოფილი იქნას კოლეჯის შესაბამის დარგის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერი/კომისიის თავმჯდომარე კოლეჯის დირექტორს წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს პროფესიული სტუდენტის /მსმენელის შეფასების კორექტირების თაობაზე შესაბამის უწყისში.

საბოლოოდ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას კონკრეტულად არ აქვს გაწერილი დუალური და ინტეგრირებული პროგრამების შეფასების სისტემა. ***დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ რეგულაციებში გაწეროს დუალური და ინტეგრირებული პროგრამების შეფასების სისტემის შესახებ.***

2. დაწესებულებას „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ 11-ე მუხლი განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტების შიდა ვერიფიკაციას და ვალიდაციას. ასევე შიდა ვერიფიკაციის მექანიზმები განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 11-ე მუხლით. აღნიშულ რეგულაციებში გაწერილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი შეესაბამება შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და იგი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია. რეგულაციებში მითითებულია ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები და დოკუმენტების მიხედვით აღწერილი პროცესი ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ აღნიშნული ვერიფიკაციის მექანიზმით დაკმაყოფილებულია 2.4.2-ის მე-2 ინდიკატორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სრული შესაბამისობა, თუმცა სასურველია აღნიშნული მექანიზმი დაიხვეწოს. წინასწარი შეფასების საფუძველზე განისაზღვროს ვერიფიკატორის სამუშაოს მოცულობა და არსებული რესურსები და ამის გათვალისწინებით დადგინდეს რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი, რისკების ანალიზის საფუძველზე შეირჩეს ის ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომელთა ვერიფიკაციაც აუცილებელია. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მასში დეტალურად გაიწეროს შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ წინასწარი შეფასების საფუძველზე განისაზღვროს ვერიფიკატორის სამუშაოს მოცულობა და არსებული რესურსები და ამის გათვალისწინებით დადგინდეს რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი, რისკების ანალიზის საფუძველზე შეირჩეს ის ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომელთა ვერიფიკაციაც აუცილებელია. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მასში დეტალურად გაიწეროს შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის №02/15 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის" 13-ე მუხლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები კომისიის მიერ ფორმდება შესაბამისი ოქმითა და უწყისით, შემდგომ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს სათანადო აღრიცხვის მიზნით. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3(სამი) წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად.

4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის" მე-8 მუხლის მიხედვით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, განმავითარებელი შეფასების გამოყენების ძირითადი მიზანი არის პროფესიული სტუდენტების შემდგომ განვითარებაზე ზრუნვა.

აღსანიშნავია, რომ განმავითარებელი შეფასების ჩატარების ფორმა/ინტენსივობა და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდება რეგულაციებში გაწერილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ განმავითარებელი შეფასების ჩატარების ფორმა/ინტენსივობა და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდება რეგულაციებში გაწერილი არ არის, რასთან დაკავშრებითაც დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცათ რეკომენდაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანება „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“;
- დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/08 ბრძანება - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ინტერვიუ.

;შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

23.07.2020

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------